

მარინე ივანიშვილი

ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ეტიმოლოგიური ძიებანი: კაცი, ადამიანი

რეზიუმე

-იან (ქონების გამომხატველი სუფიქსი ქართულში) მიღებულია -იან მაწარმოებლისგან, რომლის ფუნქცია ძველ ქართულში უნდა ყოფილიყო, აღენიშნა წარმომავლობა ვინმესგან, აქედან შემდეგ უნდა განვითარებულიყო გაგება კუთვნილებისა და ვისიმე მიმდევრობისა: ქრისტ-იან-ი, მაჰმად-იან-ი და სხვ. (შანიძე 1953, 1976).

ადამიან-ი, ადამის შთამომავალი, გონიერი არსება.

ძვ. ქართ. ადამ-იან-ი (A-1105, 83v – აბულაძე, 1973: 2) და ადამ-იან-ი (A-162, 15v – სარჯველაძე, 1995: 1). ნაწარმოებია საკუთარი სახელისგან ადამ-იან /-იან სუფიქსით. ძვ. ქართულში ამ მნიშვნელობით ჩვეულებრივია კაცი.

კაც-ი, ადამიანი; მამაკაცი.

წერილობით ფიქსირებულია V საუკუნიდან. საერთოქართველური წარმომავლობისაა.

ქართ. კაც-ი კაც-ი „კაცი; ქმარი“ : მეგრ. კოჩ-კოჩ-ი „კაცი; ქმარი“ : ლაზ. კოჩ-კოჩ-ი „კაცი; ქმარი“; კოჩ-ონ-ი კოჩ-ი „კაცური კაცი“ : სვან. ჭაშ-/ჭაშ- ჭაშ „ქმარი“; ჭაშ-აქ/ლე-ჭაშ-ერ-ი „საქმრო“ ფარდობის საფუძველზე საერთოქართველური ფუძეენის დონისთვის აღდგენილია არქეტიპი *კაც- (ჩიქობავა 1938; Климов 1964; ფენრიხი, სარჯველაძე 2000; Fähnrich 2007; ქურდიანი 2007; ჩუხუა 2008; გიგინეიშვილი 2016).

ნაშრომში განხილული იქნება დასახელებულ ცნებათა გაგებასთან დაკავშირებული საკითხები და ეტიმოლოგიური პარალელები სხვადასხვა ენიდან.

საკვანძო სიტყვები: ქართველური ენები, ეტიმოლოგია, ტიპოლოგია, კაცი, ადამიანი.

შესავალი

ილია ჭავჭავაძის, მართლაც რომ, მშვენიერი მოთხრობა პირველად 1863 წელს ჟურნალ „საქართველოს მოამბეში“ გამოქვეყნდა სათაურით „კაცია, ადამიანი“. მას შემდეგ თითქმის მთელი 20 წლის მანძილზე მწერალს სათაური არ შეუცვლია. ინტრიგა იწყება 1880 წლიდან, როდესაც მოთხრობა ცალკე წიგნად გამოიცა „საამხანაგო ქართული წიგნის მაღაზიის“ მიერ სათაურით „კაცია-ადამიანი?!“ აქედან მოყოლებული, ილიას სიცოცხლეშივე, სათაურის გაგების შესახებ მრავალი გამოკვლევა დაიბეჭდა. საქმის ისტორია დაწვრილებით აქვს განხილული ვახტანგ ვახანიას წერილში „ისევ სათაურის შესახებ“. აქ წარმოდგენილ თვალსაზრისთა

მოკლე რეზიუმე ასეთია: მკვლევართა ერთი ნაწილის აზრით, *კაცი* და *ადამიანი* სხვადასხვა მნიშვნელობის ცნებებია, ზოგისთვის კაცი უფრო ფართო ცნებაა, ხოლო ადამიანი ვიწრო, ზოგი პირიქით მიიჩნევს, ე.ი. ყველა ადამიანი არ არის კაცი. მკვლევართა გარკვეული ნაწილი ფიქრობს, რომ კაცი და ადამიანი თანაბარი მნიშვნელობის ცნებებია, ე.ი. სინონიმებია. არის შეხედულება, რომ ლუარსაბი არც კაცია და არც ადამიანი. არსებითი მნიშვნელობა აქვს, თუ რა სასვენი ნიშნების გამოყენებით დაიწერება სათაური: „კაცია ადამიანი“, „კაცია, ადამიანი“, „კაცია ადამიანი?“, „კაცია, ადამიანი?“, თუ „კაცია-ადამიანი?!“ ის ფაქტი, რომ ნაწარმოებს თავდაპირველად „კაცია, ადამიანი“ ერქვა (და მწერალს 20 წლის მანძილზე არ შეუცვლია! იხ. ასევე, დიმიტრი ბაქრაძის მიმოწერა ილია ჭავჭავაძესა და მარი ბროსესთან მოთხრობის სათაურთან დაკავშირებით), მიუთითებს იმაზე, რომ ილია ჭავჭავაძეს კაცი და ადამიანი სინონიმურ ცნებებად მიაჩნდა (ვახანია 1978: 80-86). მსგავს მოსაზრებას გამოთქვამს პოეტი ტარიელ ჭანტურია ჟურნალის იმავე ნომერში გამოქვეყნებულ წერილში „კაცი ვარ, ადამიანი!..“: ილიას მოთხრობის სათაური ვეფხისტყაოსნისმიერ ალუზიას ემყარება, ტარიელის საძებრად ქვას მისული ავთანდილი ასმათს ამშვიდებს: „ეტყოდა: სულე! რამე გიყავ? კაცი ვარ, ადამიანი.“ ტ. ჭანტურიას აზრით, *კაცი* და *ადამიანი* ილიასთვის სინონიმებია და ისინი იმ ჭურჭელივითაა, რომელსაც ყოველი ცალკეული პიროვნება თვითონ ავსებს შესაბამისი შინაარსით. არ არის სწორი, როდესაც სათაურის გააზრებას *კაცისა* და *ადამიანის* შინაარსის დაპირისპირებით ცდილობენ (ჭანტურია 1978: 76-79).

ჩვენ შევეცდებით ცნებების *კაცი* და *ადამიანი* ენობრივი ანალიზი შემოგთავაზოთ. იდეა მოდის ბატონ თამაზ გამყრელიძისგან. ერთხელ მან მითხრა, ზუსტად არ ვიცი, მაგრამ ვგონებ, ადამიანი ამ ფორმითა და მნიშვნელობით მხოლოდ ქართულ ენაში დასტურდება და ეგებ შეამოწმოთ? ვნახოთ, რა გამოვიდა.

წყაროები

წიგნნი ძუელისა აღთქემისანი, ნაკვეთი 1, შესაქმისად, გამოსლვათად, „მეცნიერება“, თბილისი 1989:

ცისა და ქვეყნის, ღლისა და ღამის, წყლისა და ხმელეთის, მცენარეულის, ცის მნათობების, თევზების, ფრინველების, ცხოველების შექმნის შემდეგ, მეექვსე დღეს, შექმნა ღმერთმა: 1,26 *კაცი* ხატებისაებრ ჩუენისა და მსგავსებისაებრ. და მთავრობდეს თევზთა ზღვსათა და მფრინველთა ცისათა და პირუტყუთა და მჴცთა ყოვლისა ქუეყანისა და ყოველთა ქუეწარმავალთა, მავალთა ქუეყანასა ზედა. 1.27 და შექმნა ღმერთმან *კაცი*. ხატებად ღმრთისა შექმნა იგი. *მამაკაცად* და *დედაკაცად* შექმნ[ნ]ა იგინი. 1.28 და აკურთხა იგინი ღმერთმან, მეტყუელმან (წიგნი შესაქმისად, თავი 1.26-28 CB, AS).

შესაქმის მეორე თავში კიდევ რამდენჯერმე გვხვდება *კაცი*: 2,5 *კაცი* არა იყო მოქმნად ქუეყანისა; 2.7 და შექმნა უფალმან ღმერთმან *კაცი*, მტყუერსა მიმღებელმან ქუეყანისაგან; 2,8 და დაჰნერგა ღმერთმან სამოთხე ედემს აღმოსავალით და დადვა მუნ *კაცი*, რომელი შექმნა; 2.15 და მოიყვანა უფალმან ღმერთმან *კაცი*, რომელი შექმნა. და აი, აქ, ტექსტში პირველად გვხვდება სახელი *ადამი*: 2.16 და ამცნო უფალმან ღმერთმან *ადამს...* (წიგნი შესაქმისად, თავი 2, CB,

AS). აქედან მოყოლებული შესაქმის ტექსტში ყველგან დასტურდება მის სახელად *ადამი*.

1.26-ში „და თქუა ღმერთმან: ვქმნეთ კაცი ხატებისაებრ ჩუენისა და მსგავსებისაებრ“ ებრაულ ტექსტში სიტყვა *კაცის* ადგილას არის სიტყვა *ადამ* (adam), ზოგიერთი კომენტატორი მის მნიშვნელობას განსაზღვრავს, როგორც წითელ მიწას (adamah) და არგუმენტად მოჰყავთ მიწისგან ადამის შექმნა. ამ აზრს იზიარებს ზურაბ კიკნაძე: „ადამი, როგორც განცხოველებული მიწა – ადამაჰ, მიწის მუშაკის როლშია „...ადამაჰ (ნიადაგი), საიდანაც ადამის სხეულიც არის აღებული“. მისივე აზრით, ადამიანი არ არის მხოლოდ მამრი, არ არის მხოლოდ მდედრი, არამედ მხოლოდ და მხოლოდ წყვილი (მამრი და მდედრი), არის მთლიანი ადამიანი, ღვთის ხატად შექმნილი ადამის იდეის მატარებელი (კიკნაძე 2004: 20, 23, 30).

უმბერტო ეკო სტატიაში „მხატვრულ უწყებათა წარმოშობა ედემურ ენაში“, როგორც სტრუქტურული ლინგვისტიკის საუკეთესო ტრადიციების ერთგული ენის საკითხებში, იძლევა უმარტივესი ედემური ენის წარმოსახვით მოდელს. დასაწყისში „ადამი ღრმადაა დარწმუნებული ფორმისა და შინაარსის განუყოფელობაში და ეჩვენება, რომ nomina sint numina „სახელები არის ღვთაებები“, ანუ ენა ბუნებრივი ფაქტია, იკონური და ანალოგიურია, რომ ის სულის ბნელი ონომატოპოეტურობიდან იბადება, რომ ის ღვთის ხმაა... ღმერთები საკუთარ თავს ენის მეშვეობით ასახელებენ (si nimum)... რაც ენის შემოქმედებითობის, მისი პოეტური გამოყენების და სამყაროსა და აღმნიშვნელთა ფორმებს შორის ურთიერთქმედების საკითხებითაა შემოსაზღვრული... ღარიბ ედემურ ენაზე ჩვენ ზუსტად ვერაფერს ვიტყვით, რადგან ამ წინარეალიზაციურ ფაქტორებზე სემიოტიკას წვდომა არ გააჩნია. ენა, გათავისუფლებული წესრიგის მიმართ ვალდებულებისაგან და არაორაზროვნებისაგან, ადამის შემდეგ მის შთამომავლებს გადაეცათ, თანაც კიდევ უფრო გამდიდრებული ფორმით“ (ეკო 2013: 15-32).

ვნახოთ, რა ვითარებაა აღნიშნულ ცნებებთან დაკავშირებით ქართველურ ენებში და რა ტიპოლოგიური პარალელები ეძებნება მათ.

ძირითადი ნაწილი

1. **ადამიან**-ი, ადამის შთამომავალი, გონიერი არსება.

ძვ. ქართ. ადამ-იან-ი (მ. ცხ. A-1105, 83v, XI ს. – აბულაძე, 1973: 2) და ადამ-იან-ი (მეტაფრასი A-162, 15v, XI ს. – სარჯველაძე, 1995: 1). ნაწარმოებია საკუთარი სახელისგან ადამ-იან /-იან სუფიქსით. ძვ. ქართულში ამ მნიშვნელობით ჩვეულებრივია კაცი.

-იან (ქონების გამომხატველი სუფიქსი ქართულში) მიღებულია -იან მაწარმოებლისგან, რომლის ფუნქცია ძველ ქართულში უნდა ყოფილიყო, აღენიშნა წარმომავლობა ვინმესგან, აქედან შემდეგ უნდა განვითარებულიყო გაგება კუთვნილებისა და ვისიმე მიმდევრობისა: ადამ-ი – ადამ-იან-ი – ადამ-იან-ი, ქრისტე – ქრისტე-იან-ი – ქრისტე-იან-ი და სხვ. (შანიძე 1953, 1976).

სულხან-საბასთან (ლექსიკონი ქართული, 1991):

ადამიანი – ადამისგამონი ZAa

ადამ-იერ-ი – ადამის ერთაგანი ZAa

ადამის ტომი – ადამის ტომთაგანი Zaa

ილია აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, მეცნიერება, თბ., 1973:

ადამეან-ი – ადამიანი, ადამის ჩამომავალი: „წინაშე ყოველთა ადამეანთა...“ მ.ცხ. 83v.

ზურაბ სარჯველაძე, ძველი ქართული ენის სიტყვის კონა, თსპუ, თბ., 2001:

ადამეან-ი/ადამიანი - ადამიანი, ადამის შთამომავალი; ადამიანური.

მთის დიალექტებში:

ადამიანი – ფშ., გუდ., მოჭ. დედაკაცი. ხევსურეთში არ იციან, თუშეთში ადამიანი – კაციც არის და ქალიც (შანიძე 1984).

მეგრულსა და ლაზურში:

ადამიანი – ადამიანი; ქალი

ადამიანობა – ადამიანობა

ადამიერ-ი – ადამიანი, ადამიანური

ადამქამიში – ადამისდროინდელი

ადამსქუა – ადამის შვილი

ადამურ-ი – ადამიანი, ადამიანური

ადამშობაში – ადამისდროინდელი

ადამბორჯიში ამბე – ადამისდროინდელი ამბავი

ადემი – მამაკაცის სახელი (Кипшидзе 1914, ჭარაია 1977, ქაჯაია 2001, თანდილაშვილი 2013).

მეგრულსა და ლაზურში *ადამიან-* ფუძე ქართული ნასესხობაა, განსხვავებით *კორ-* ფუძისგან, რომელიც საერთოქართველურ დონეზეა აღდგენილი.

სვანურში

ამსჷლდ – ადამიანი (თოფური, ქალდანი 2000).

სვანურში აღნიშნული მნიშვნელობით სრულიად განსხვავებული ფუძეა წარმოდგენილი.

2. *კაც*-ი, ადამიანი; მამაკაცი.

წერილობით ფიქსირებულია V საუკუნიდან. საერთოქართველური წარმომავლობისაა.

ქართ. *კაც-კაცი* „კაცი; ქმარი“ : მეგრ. *კორ-კორი* „კაცი; ქმარი“ : ლაზ. *კორ-კორი* „კაცი; ქმარი“; *კორ-ონი კორი* „კაცური კაცი“ : სვან. *ჭამ-/ჭმ- ჭამ* „ქმარი“; *ჭამ-დაქ/ლე-ჭმ-გრ-ი* „საქმრო“ ფარდობის საფუძველზე საერთოქართველური ფუძეების დონისთვის აღდგენილია არქეტიპი **კაც₁*- (ჩიქობავა 1938; Климов 1964; ფენრიხი, სარჯველაძე 2000; Fähnrich 2007; ქურდიანი 2007; ჩუხუა 2008; გიგინეიშვილი 2016).

ტიპოლოგია

ებრაული:

אָדָם 'ādām אָדמוּר, ou, ὁ ადამიანი

- אָדָם 'āḏām, אָדמוּר, ὁ კაცი (English-Hebrew/Hebrew-English Dictionary 1995).

არაბული:

არაბულში ადამიანისთვის და კაცისთვის სხვადასხვა სახელები გვაქვს, როგორც ქართულში. კაცისთვისაც და ადამიანისთვისაც ასევე გამოიყენება სხვა სიტყვები თუ სიტყვათშეთანხმებები, თუმცა ორი ძირითადი სიტყვა, რომელსაც ამ მნიშვნელობით ვიყენებთ, ესენია: إنسان [insān] ადამიანი და رجل [rağul] კაცი.

ქართულში სიტყვა „კაცის“, „ადამიანის“ მნიშვნელობით გამოიყენებასთანაც რომ გავავლოთ პარალელი, არაბული სიტყვაც رجل [rağul] „კაცი“ ასევე გამოიყენება ზოგადად, ადამიანის მნიშვნელობით.

آدم [ādām] „ადამი“ არაბულში ძირის დერივატია. აღნიშნული ძირი კანის მუქ ფერთან არის დაკავშირებული და آد [ād] „ადამი“ სიტყვის თავდაპირველი მნიშვნელობაც ენაში „კანის მუქი ფერის მქონე“ ხოლო, მეორე მნიშვნელობით, იგი პირველი ადამიანის, ადამის საკუთარი სახელია. სიტყვის آد [ādām] „ადამი“ ლექსიკური მნიშვნელობა მხოლოდ ესაა, თუმცა გვაქვს სიტყვათშეთანხმება آد ابن [ibn ādam] „ადამის შვილი, ძე“, რომელიც ზოგადად, ადამიანის მნიშვნელობას გამოხატავს.

آدم [ādām] „ადამი“ სიტყვის ლექსიკური მნიშვნელობები:

გიორგი წერეთლის არაბულ-ქართულ ლექსიკონში:

(<ებრ.-არამ. אָדָם) ადამი (წერეთელი 1951)

ხარლამზ ბარანოვის არაბულ-რუსულ ლექსიკონში:

آدم მუქი კანით, მუქკანიანი, შავგვრემანი

آدم ადამი; ~ ابن ადამიანი; ~ بنو ხალხი, ადამიანთა მოდგმა; ~ آدم و حواء ადამი და ევა (Баранов 1940-1946).

სპარსული:

آدم [adām] 1) ადამიანი; 2) სალაპ. მსახური; 3) კონტექსტის მიხედვით იხმარება, როგორც რომელიმე პირის ნაცვალსახელი; 4) ადამი

انسان [ensan] 1. ადამიანი; 2. სალაპ. ადამიანური, ჰუმანური

- مرد [mard] 1. 1) კაცი, ქმარი; მოღვაწე; 2) ადამიანი; 3) ქმარი, მეუღლე; 4) მოძვ. გულადი; 2. გულადი, გამბედავი; კეთილშობილი (Рыбинчик 1970).

სპარსული განმარტებითი ლექსიკონი:

آدم [adām] 1. პირველი ადამიანი ქრისტიანობაში; 2. ადამიანი; 3. მსახური, ნოქარი; 4. ვიდაც; 5. სალაპ. საქმის შემსრულებელი.

انسان [ensān] 1. სულიერი არსება, რომელსაც აქვს სიარულის, მეტყველების და აზროვნების შესაძლებლობა, ადამიანი; 2. ვიდაც, კაცი

مرد [mard] 1. სრულწლოვანი ადამიანი; ქალის საპირისპირო; 2. ვიდაც, კაცი; 3. ქალის მეუღლე; ქმარი; 4. კეთილშობილი; 5. გულადი („სოხან“ 1383).

თურქული:

adam (სემიტ.) – ადამიანი, კაცი; მამაკაცი; ადამი (man, human being). adamoğlu – ადამიანი, „ადამის შვილი“; adam öldüren – კაცისმკვლეელი და სხვ.

insan (არაბ.) – ადამიანი, კაცი (human being, human, man); insanoglu – კაცი, ადამიანი, ადამიანის შვილი; insanbilim – ანთროპოლოგია; insansever – კაცთმოყვარე; insan düşmanı – კაცთმოდულე; insan soyu – კაცთა მოდგმა; კაცი (განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელი უპირო ფორმის გადმოსაცემად) insan bunu düşünmez mi? – კაცმა ამაზე არ უნდა იფიქროს? insandan değil – ადამიანი არ არის და სხვ. (Türkçe Sözlük 2011).

ბერძნული:

ადამიანი: ἄνθρωπος, ὁ: I.1. კაცი, 2. მრ. კაცობრიობა, 2. კაცი, ადამიანი, 4. მონა, 5. ვიღაც, II. მღერ. ქალი; კონტექსტის მიხედვით მონა ქალი.

კაცი: ἀνὴρ, ὁ, ἀνδρὶς, ἀνδρᾶ, voc. ἄνερ: pl. ἄνδρες, -δρᾶν, -δράσι [ᾶ], -δρας: I. კაცი (ანტ. ქალი), II. კაცი (ანტ. ღმერთი), III. კაცი (ანტ. ახალგაზრდა), IV. ქმარი (Liddell-Scott-Jones 1996).

ლათინური:

homo – ადამიანი, კაცი, პიროვნება

vir – მამაკაცი, ზრდასრული, კაცი (Latin-English dictionary 1879).

სომხური:

ՄԱՐԴ (mard) „ადამიანი, არსება, კაცი“, ძირძველი სომხური სიტყვა, მომდინარეობს ინდოევროპული mrtó-, mártā ფორმიდან – „მომაკვდავი, ადამიანი“, რომელიც თავის მხრივ მომდინარეობს ინდოევროპული mer – ფორმიდან „კვდომა“//mer-anil/mernil//. შესაბამისად, ადამიანი ნიშნავს „მომაკვდავს“ (მღრ. სომხ. გვარი „ადამ-იანი“) (აჭარიანი 1977).

დასკვნა

ქართულში სიტყვა-ფორმა კაც-ი V საუკუნიდან არის წერილობით დადასტურებული, ხოლო ადამიანი>ადამიანი XI საუკუნის ხელნაწერებში – მამათა ცხოვრებასა (A-1105, 83v, XI ს.) და მეტაფრასში (A-162, 15v, XI ს.), მნიშვნელობით „ადამის შთამომავალი, გონიერი არსება“. ამ ფუძეების სინონიმური ხმარების მაგალითები გვიანდელ ტექსტებში, დიალექტებში მრავლადაა, თუმცა ვინაიდან აბსოლუტური სინონიმია ენაში გამორიცხულია, მათი თავისუფლად ჩანაცვლება ყოველთვის არ ხდება და კონტექსტით არის განპირობებული.

კაც- ფუძე საერთოქართველური წარმომავლობისაა. ქართ. კაც- კაც-ი „კაცი; ქმარი“ : მეგრ. კოჩ- კოჩ-ი „კაცი; ქმარი“ : ლაზ. კოჩ- კოჩ-ი „კაცი; ქმარი“; კოჩ-ონ-ი კოჩ-ი „კაცური კაცი“ : სვან. ჭაშ-ჭაშ- ჭაშ „ქმარი“; ჭაშ-დაქ/ლე-ჭაშ-გრ-ი „საქმრო“ ფარდობის საფუძველზე საერთოქართველური ფუძეების დონისთვის აღდგენილია არქეტიპი *კაც₁-.

ტიპოლოგიურ მონაცემებს თუ შევადარებთ, ქართულის მსგავსი ვითარებაა ებრაულში, სპარსულსა და თურქულში, ანუ ებრაულიდან მომდინარე ადამ- ძირი აღნიშნულ ენებში „ადამიანის“ მნიშვნელობითაა წარმოდგენილი, თუმცა ქართულში, განსხვავებით ამ ენებისგან, გვაქვს დერივაციული წარმოება: ადამ-ეან-ი > ადამ-იან-ი. საინტერესო ფაქტად მიგვაჩნია ისიც, რომ ქრისტიანული ქვეყნებიდან მხოლოდ ქართულშია ეს სიტყვა ამ მნიშვნელობით დამკვიდრებული, რაც მის აღრინდელ ნასესხობასა და წარმოებაზე მიუთითებს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. აბულაძე, ილია. *ძველი ქართული ენის ლექსიკონი*, თბილისი: მეცნიერება, 1973.
2. აჭარიანი, ჰრაჩია. *სომხური ძირეული ლექსიკონი*, მე-3 ტომი, ერევანი, 1977: 278-280.
3. გიგინეიშვილი, ბაქარ. *ქართული ენის ისტორიულ-ეტიმოლოგიური ლექსიკონი*, თბილისი: საქ. მეცნ. აკადემია, 2016.
4. ეკო, უმბერტო. „მხატვრულ უწყებათა წარმოშობა ედემურ ენაში“, კრებული: „ბიბლია პოსტმოდერნული პერსპექტივიდან“ (რედ. თ. ცოფურაშვილი, მთარგმნ. ე. ლადარი), თბილისი: ილიაუნი, 2013: 15-32.
5. ვახანია, ვანტანგ. „ისევ სათაურის შესახებ“ ჟურნალი „ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში“, 2, თბილისი, 1978: 80-86.
6. თანდილაშვილი, ალექს. *ლაზური ლექსიკონი*, თბილისი, 2013.
7. თოფური, ვარლამ. *ქალდანი, მაქსიმე. სვანური ლექსიკონი*, თბილისი, 2000.
8. კიკნაძე, ზურაბ. *ხუთწიგნეულის თარგმანება*, თბილისი, 2004.
9. *რუსულ-ქართული ლექსიკონი*, თბილისი: აკად. გამომც., 1956, 1958, 1959.
10. სარჯველაძე, ზურაბ. *ძველი ქართული ენის სიტყვის კონა*, თბილისი, 1995.
11. ფენრიხი, ჰაინც. *სარჯველაძე, ზურაბ. ქართველური ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი*, თბილისი, 2000.
12. ქაჯაია, ოთარ. *მეგრულ-ქართული ლექსიკონი*, თბილისი: ნეკერი, 2001.
13. ქურდიანი, მიხეილ. *იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების საფუძვლები*, თბილისი: თსუ, 2007.
14. შანიძე, აკაკი. *ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები*, თბილისი, 1953, 1976.
15. შანიძე, აკაკი. *ქართული კილოები მთაში*, თბილისი: თსუ, 1984.
16. ჩიქობავა, არნოლდ. *ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი*, ტფილისი, 1938.
17. ჩუხუა, მერაბ. *იბერიულ-იჩქერულ ენათა შედარებითი გრამატიკა*, თბილისი: თსუ, 2008.
18. წიგნნი *ძუელისა აღთქუმისანი*, ნაკვეთი 1, შესაქმისად, გამოსლვათად, თბილისი: მეცნიერება, 1989.
19. წერეთელი, გიორგი. *არაბულ-ქართული ლექსიკონი*, თბილისი: თსუ, 1951.
20. ჭანტურია, ტარიელ. „კაცი ვარ, ადამიანი!..“ ჟურნალი „ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში“, 2, თბილისი, 1978: 76-79.
21. ჭარაია, პეტრე. *მეგრულ-ქართული ლექსიკონი*, თბილისი, 1977.
22. Charlton T. Lewis, Charles Short. *A Latin Dictionary*, 1879.
23. *English-Hebrew/Hebrew-English*, Kernermann Pub, Lonie Kahn, 1995.
24. Fähnrich, Heinz. *Kartwelisches Etymologisches Wörterbuch*, Leiden, Boston: Brill, 2007.
25. *Latin-English dictionary*, by Charlton T. Lewis and Charles Short, Clarendon Press, Oxford University Press, 1879.

26. Henry George Liddell; Robert Scott; Henry Stuart Jones; Roderick McKenzie. *Greek-English dictionary*, Oxford: Clarendon Press; New York: Oxford University Press, 1996.
27. *Türkçe Sözlük* (haz. Ş.N.Akalın ... ve başk.), 11.bask., Ankara, Türk Dil Kurumu, 2011.
28. Баранов, Харлампий. *Арабско-русский словарь*, 1940-1946.
29. Кипшидзе, Иосиф. *Грамматика Мингрельского (Иверского) Языка*, С.-Петербург, 1914.
30. Климов, Григорий. *Этимологический словарь картвельских языков*, Москва, 1964.
31. *Персидско-Русский словарь в двух томах*, под редакцией Ю.А. Рубинчика, Москва: Советская Энциклопедия, 1970.
32. *Турецко-русский словарь*, под редакцией Э.М.-Э. Мустафаева и Л.Н. Старостова. Москва: Русский язык, 1977.
33. 1383. فرهنگ روز سخن. حسین انوری. تهران. <https://www.dict.cc/>.